საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია
დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 39
ხუთშაბათი, ოქტომბრის 6
1921 წ.

თავზარდაცემული მეუღლე აგრაფინა მ. ნუჩარის ასული და შვილები გიორგი და ლეო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს ძვირფასი და დაუვიწყარი

## ნიკოლოზ |პარმენ| გაბრიელის ძე

## ჩიჩინაძის

უდროოდ დაკარგვას. პანაშვიდი დანიშნულია დღეს, ხუთშაბათს, საღამოს 5 საათზე რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფოს (მიხეილის საავად.) ეკლესიაში. კვირას, ოქტომბრის 9-ს, მოხდება ცხედრის გამოსვენება რესპუბლიკის სამხედრო საკრებულოში.

გულდაწყვეტილნი შვილები: დოფენტი და ივანე გიორგის ძე არონიშიძეები, რძლები: ზინაიდა გიორგის ასული, ელისაბედ კონსტანტინეს ასული და ქვრივი ანასტასია ნიკოლოზის ასული, ქალიშვილები: ნინო და ელისაბედ გიორგის ასულნი, სიძეები: არჩილ ტეფანეს ძე დარეჯანაშვილი და გიორგი ვასილის ძე კვერნ ძე, შვილიშვილები: რუსუდანი, ეთერი, ოლიმპიადა, ანეტა, ალექსანდრა, თინათინ, შალვა და ვასიკო მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობარ—ამხანაგებს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ დაუვიწყარი

## მარიამ ოტიას ასულ ნიკოლაიშვილ-არონიშიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე ნავთლუღში კუტილოვსკის ქ. № 11 სამხედრო ჰოსპიტლის პირდაპირ. დაკრძალვა ოქტომბრის 6-ს წმიდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება დილის 12 საათზე კახეთის და პესკის ქუჩებით.

კვირას, ოქტომბრის 9-ს, ტფილისში ხელოვნების სასახლეში |სერგიევის ქ. 13| გაიხსნება

## სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობა

დღიური წეს რიგი:
1) მოხსენება საბჭოს მოქმედების შესახებ ა. აბაშელი და კ. მაყაშვილი.
2) ფინანსიური ანგარიშების შესახებ ი. გრძაძე და ვ. რუხაძე.
3) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4) სახელმწიფო გამომცემლობა და მწერალთა კავშირი ტიციან ტაბიძე და ვ. კოტეტიშვილი.
5) „რაბისი“ და მწერალთა კავშირი ა. აბაშელი.
6) ხელოვნების სასახლის ორგანიზაცია ტიციან ტაბიძე.
7) სამეურნეო საბჭოს დაარსება.
8) მიმდინარე საკითხები.
9) საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

პროვინციიდან ჩამოსულ მწერლებს საბჭოსაგან მიეცემათ გზის ფული, სადილი და ბინა. ყრილობა გაიხსნება დღის 12 საათზე.

მწერალთა კავშირის საბჭო.

## სახელმწიფო საოპერო თეატრში იძლევა ქირით

1921—22 წ. სეზონში თეატრის

## ბუფეტები და საკანდიტრო.

ქირის აღების მსურველთ უნდა შემოიტანონ განცხადება დაბეჭდილ პაკეტებში თეატრის გამგის სახელზე პაკეტზე ზედწაწერით „ბუფეტის იჯარა“, „საკონდიტროს იჯარა“ პირობებს გაგება შეიძლება თეატრის კონტორაში. განცხადებები მიიღება ამ წლის სექტემბრის 26 ს დილის 10 საათზე.

## განცხადება

თანახმად ფოთის რევკომის მონდობილობისა ფოთის ხე-ტყის დამამზადებელი განყოფილება იწვევს მსურველთ კერძო პირთ ან ამხანაგობებს, იკისრონ მახლობელ ტყეებში ორი ათასი კუბიკური საჟენი შეშის, ერთბაშად ანუ ნაწილობრივად დამზადება-გამოზიდვა და ფოთში ჩაბარება, დანიშნულ ვადაში, იმ პირობით რომ სასყიდელი მიიღონ ნატურით ე. ი. შეშის ნაწილით.

მსურველმა უ და წარმოადგინოს ხე-ტყის განყოფილებაში (ფოთი, 26 მაისის ქუჩა, ალანიას სახლი) განცხადება, რომელშიაც უნდა აღნიშნოს რამდენ საჟენის ჩაბარებას კისრულობს და რა ნაწილს ითხოვს; აგრედვე უნდა წარადგინოს პირობის უზრუნველსაყოფელი საწინდარი.

დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ხე-ტყის განყოფილებაში ყოველ დღე დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ფოთის ხე ტყის განყოფილების გამგე გ. საჩახტარიშვილი.

ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარიატის უწყების ქვეშ მყოფი
პირველი ქართული საბუხჰალტერიო კურსები

## ალ. გ. საათაშვილისა

მიიღებიან ყველანი წლოვანობის გაურჩევლად. პირობის გაგება შეიძლება დილის 9—12 საათ. და საღამოს 4—7 საათზე. მისამართი: დუშეთის ქუჩა, სახ. № 9 (1-ლი რაიონი) წყნეთის ქუჩასთან ახლოს, ტრამვაი № 5. 1103

ყოფ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი იგ. მარკ. მ ა ჩ ა ი ძ ე
ადგენს მისამზად.

## ჯგუფებს

ოთხი და ექვსი კლასის მოწმობის მისადებად. აგრეთვე საშუალო სასწავლებელში: გიმნაზიაში, რეალურ სასწავლებელში, საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად მე-2,3, 4, 5, 6, 7 კლასში. მასწავლებლობის და აფთიაქის მოწაფის წოდებაზე.

აგრეთვე იძლევა ცალკე გაკვეთილებს: მათემატიკაში გერმანულში და რუსულ ენებში—განმეორებითი გამოცდებზე მოსამზადებლად.

მეცადინობა: დილით—5—7 საათამდე. საღამოთი 2—4 და 5—7 საათ.
მისამართი: პლეხანოვის ქუჩის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5.
ნახვა და ჩაწერა—6—7 ნახ. დილით 3—7 საღამოთი. 1081

## სოფრ. მლაძაშვილის

თხზულებანი I და II ტ.

იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. რქავე ბუხჰალტერია სოფრ. ტარუაშვილისა.
შემოსავალი შემოსავალი გადავა გარდაცვალებაზე—სიმდერა არაყიშვილისა
1108

## 30 ოქტომბერი

ამხანაგებმა იციან, რომ 30 ოქტომბრისათვის დანიშნულია საქ. სოც. ფედ. სარ. პარ. ყრილობა. ყრილობას არაჩვეულებრივ პირობებში უხდება შეკრება, ათასი საკითხი, პირდაპირ სამკვდრო—სასიცოცხლო, ჩვენს წინაშე სდგას და გარკვეულ ნაბიჯებს მოითხოვს. ჩვენი პარტიის ყრილობამ ისტორიული ნაბიჯი უნდა გადადგას უნდა დაუმტკიცოს ქართველ მშრომელს, რომ პარტია მასთან არის ყოველთვის და ერთი წუთითაც იგი თვალს ვერ მოაშორებს ქართველი მშრომელის ინტერესებს, ერისა და ხალხის სამსახურს.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ დღევანდელი ჩვენი პირობები, საზოგადოებრივი ატმოსფერა შექმნილი პორიკანა, ქუჩის მტკეპნელი პოლიტიკანებით, არ ქმნის საშვალებას ნაყოფიერი მუშაობისათვის, მაგრამ ჩვენი მიზნების უშწიკვლო რწმენით, ხალხის სამსახურის აუცილებლობით, ყოველი დაბრკოლება უნდა გადავლახოთ, რომ ჩვენ მუშაობას მეტი ნაყოფიერება, მეტი შემწევი და მეტი ღირსება ჰქონდეს.

ნურავინ ფიქრებს, რომ ჩვენი ყრილობა აცდება თავის პირდაპირ გზას და გადაუხვევს იმ ს. ლ პრინციპებს, რომლისათვის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ესოდენი მსხვერპლი გაგვიღია. ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ წრეში მოიძებნება ერთი პიროვნებაც კი, რომელიც საქართველოსა და სოციალიზმის გზას გადასცდება და ამით ჩვენი იდეოლოგიის ს. ფუძვლებს უარყოფს.

ჩვენ როგორც ყოველთვის, ისე დღესაც ხელთ უნდა გვეპყრას ჯვარედინათ გადაჭდობილი ეროვნულ-სოციალისტური დროშა, ხოლო თუ წინეთ რომელიმე მათგანს ნაკლები ყურადღება ექცეოდა, დღეს ორივე დროშა ერთი და იგივე წონის უნდა იყოს ჩვენთვის და როგორც ერის, ისე სოციალიზმის ფრონტზედ ბრძოლაში უნდა გაისმოდეს ჩვენი ძახილი.

## ამხ. ს. ამაღლობელის წერილებისა გამო

მე არა მგონია ამხანაგო, რომ თქვენ თავისუფალ საქართველოში მოელოდეთ ისეთს ქალებს, რომლებმაც ვაჟების ადამიანურ ღირსებამდე ასვლა შესძლონ ყოველ შემთხვევაში ჩვენს ისტორიულ წარსულში ასეთს თქვენ არა ხედავთ. და თუ სხვები ასახელებენ, ასე გასინჯეთ მემატიანეც კი თქვენ, ეს პოეტური ფანტაზიის შემქნილად მიგაჩნიათ. აი მაგალითად თქვენი სიტყვები: „პოეტური ფანატიზმის შემქნელი ტიპები, მათი გმირული რაინდული სული სამშობლოსათვის თავდადებულნი და ზნეობრივი სიფაქიზით გაბრწყინვებული ქართველი ქალების ტიპებათ ვერ გამოდგება. ჩვენმა ისტორიულმა ცხოვრებამ იცის თამარის ტიპები მაგრამ იცის დარეჯანის ტიპებიც. . თუმცა დარეჯანისა თამარ შორის დიდი ფიზიკური და გონებრივი კონტრასტია, მაგრამ ჩვენ დღევანდელი ქართველი ქალები არც დარეჯანის დავიწყებდით, მისი დანაშაულის მიუდევნლად რასაკვირველია. ვინაიდან ჩვენ რომ უკანასკნელის გავლენა გვქონოდა, არც ისე უჩინარი ვიქნებოდით, საზოგადოებაში როგორც თქვენ ფიქრობთ და ამბობთ.

ქართველი ქალის პიროვნილი ჩაგვრა ეროვნული ჩაგვრის დროს მით იყო გამოწვეული, რომ ქართველი ვაჟკაცების ეროვნული სული დამახინჯდა, არა ქართველი დედების უვარგისობით, როგორც ამას ამბობენ ჩვენი პატრიოტები, არამედ რუსის ბიუროკრატიული სკოლების აღზრდით, სადაც ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა ანეგინ, პეჩორინზე დ ტარასბულბაზე იწრთვნებოდა გონებრავად და კაპიტალისტური ცხოვრების შემოჭრით ჩვენს ქვეყანაში. დარეჯანს კი მისი თანამედროვე ვაჟკაცები სხვა თვალით უქცეოდნენ. ვიდრე თქვენ დღევანდელს ქალებს. იმერეთის დესპანი როგორც მეფე ირაკლის, ისე დარეჯან დედოფალს მოუთხრობდენ და არწმუნებდნენ იმერეთის შემოერთების საჭიროებაზე, მაგრამ ვერ დაითანხმეს იგი. ამით დარეჯანი დიდი დამნაშავეა, მაგრამ ამ დიდს დანაშაულში ჩვენ ვხედავთ თუ რა ადგილი ეჭირა საქართველოში ქართველ ქალს და რა გავლენა ქონდა მას ოჯახში და პოლიტიკურ ცხოვრებაშიაც.

მაგრამ თუ ასეთს ანგარიშს უწევდენ ქალის პიროვნებას ძველი ქართველნი თქვენ ამხანაგო სერგო, სწორუფლებიან საქართველოშიც ვერ დაგინახავთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოსულ ქართველი ქალები. როცა სწერთ: „საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქართველი ქალი არა სჩანს“ (sic) ეს მართალია არა სჩანს მაგრამ რისთვის ამხანაგო, მისთვის რომ ყველა გამოსაჩენი ადგილები თქვენ ვაჟებმა მიისაკუთრეთ, თუ მისთვის რომ ქართველი ქალები არარაობანი არიან? ნუ თუ თქვენ არა ხედავთ ძველსა და ახალ თაობაში გამოჩენილ ქართველ ქალებს. ნუ თუ თქვენთვის არაფერი იყო ქართველ ქალთა „ინტერპატიული ლიგა“ იმერეთში, რომელიც ყოველგვარი ხელის შეშლის დროს პირველი რევოლუციის ტალღის ამოვარდნისთანავე თავისი საკუთარი გაზეთი დაარსა და მთელი წლიწად ნახევარი უძღვებოდა მას ისტორიულ მომენტის ალღოს ალღებით! მაგრამ როცა თქვენთვის მთელი მსოფლიოს ქალთა ორგანიზაციების ბრძოლა უბრალო ორომტრიალს მეტს არას წარმოადგენს რათ ჩააგდებთ თქვენ ქართველ ქალთა ორგანიზაციების მოქმედებას და ისეც იმერეთში, რომელიც დღესდე უბრალო პროვინციათ არის მიჩნეული?

დედა საქართველოს თავისი გულშემატკივარი ასულები როგორც ისტორიულად ისე დღესაც ჰყავს. მაგრამ იმ ზნეობრივ ატმოსფერაში ამხანაგო რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში ევროპის დიდს ქალაქებში დილეტანტურად განათლებულმა ვაჟებმა გაამეფეს ჩვენს სამშობლოში ქართველ ქალებს მეტად უძნელდებათ თავიანთი აქტიურობის გამოჩენა და მით იჩრდილებიან ისინი.

რაც შეეხება ქართველ ქალთა უმრავლესობას იცოდეთ ამხანაგო სერგო, რომ ყოველ ეპოქას თავისი ვაჟკაცების შესაფერისი ქალები ყავდა და ჩვენ დროშიაც ისეთი ქალებია საქართველოში როგორიც დღევანდელს ვაჟებს შეესაბამება.

თქვენ თანამედროვე ხელოვნებაში ქართველი ქალი „კაროჟნაში“ გიპოვნიათ. ავტორს კი აგრე არ უფიქრია, როცა ამ მოთხრობას სწერდა. კაროჟნა იმ კატეგორიის ქალს ეკუთვნის, რომელიც თანამედროვე ცხოვრებისათვის სრულიად მოუმზადებელია, როგორც ის კლასი რომელსაც ის ეკუთვნის, იმ გარდამავალ ხანაში, როცა კაპიტალისტური წესწყობილება ნატურალურს წყობილებას ანადგურებს, მას სხვა არა დარჩენია რა თუ არა მარჩენელი ქმრის პოვნა, რომელსაც მამა მისი აგრე გულით სცდილობს. და რათ ფიქრობთ ამხანაგო სერგო, რომ ასეთს პირობებში, რომ ყოფილიყო ჩაყენებული ნესტანი და თინათინი მათი მდგომარეობა კაროჟნაზე უკეთესი იქნებოდა?

განა ცოტა მშვენიერი თინათინები მიათხოვა ჩვენმა თავად-აზნაურებმა პირველთა სურვილის წინააღმდეგ მდიდარ ვაჟებს იმ მოსაზრებით, რომ სიძიდან რაიმე სარგებლობა ჰქონოდათ და თავიანთი ნივთიერი ცხოვრება გაეუმჯობესებინათ? და თუ მე-20 საუკუნის კაროჟნა აგრე საბრალოა მე-12 საუკუნის თინათინ ნესტან დარეჯანთან შედარებით, რათ არ გაგონდებათ ამხანაგო უბადრუკობა დარესპანისა ტარიელ ავთანდილთან შედარებით?! განა ისეც თანამედროვე ხელოვნების ტიპი არ არის? თუ რომ თქვენი ლიტერატურული ნიმუშები თანამედროვე ქართველი ქალის უნიათობის დამამტკიცებელი გამოდგება, მაშინ ქალებსაც შეეძლებოდათ ვაჟების უვარგისობის დასამტკიცებლად იმავე არგუმენტების წამოყენება და ეთქვათ: „თუ რომ მე 12 საუკუნის ხელოვნებაში ტარიელ-ავთანდილები მეფობდენ თანამედროვე ხელოვნებაში სოლომონ მორბელიძე, ოტია ქაჩუჩაძე და დარესპანები გამიჩდენო“.

მაგრამ ეს არ იქნებოდა დასაბუთება აღებული საგნისა, ვინაიდან ერთი რომელიმე წოდების და ისეც მცირე რიცხოვან წოდებიდან ამოღებული ტიპი ქართველი ადამიანის დასახასიათებლად არ გამოდგება და ვერც კაროჟნა ახასიათებს თანამედროვე ქართველს ქალს. ეს ტიპი გვიჩვენებს მხოლოდ თანამედროვე ქართველ ქალთა სოციალურ მდგომარეობას, რომელიც გამოწვეულია არა ეროვნული ჩაგვრით, არამედ ეკონომიური პირობებით, აღზრდით და მამის განუსაზღვრელი უფლებით.

თქვენი წერილებიდან ამხანაგო სერგო, ცხადათ სჩანს და არც თქვენ მალავთ მას რომ, თუ რომ ქალ-ვაჟთა იურიდიული გათანასწორება შესაძლებელია, სამაგიეროდ მათი ინტელექტუა-

ლური თანასწორობა შეუძლებელია, ვინაიდან თქვენი აზრით ქალი ბუნებრივად სუსტია ყოველგვარი შემოქმედებისათვის და რადგანაც ასეთი შეხედულობის ადამიანი ქალთა ინტელექტზე, მე-20 საუკუნეში დედას ბუნების დამცველად გამოდიხართ და მის ბედუკუღმართობით რათ არ გაგონდებათ ის, რომ დედის გვარის ტირებას, თუ რომ სუსტი ქვეყნის ქალები მოისურვებენ, სამაგიეროდ თქვენ მიერ ღვთაებრივი ნიჭით დაჯილდოვებულნი ვაჟები დიდათ იუკადრისებენ მას და შეურაცხყოფილი დაგირჩებიან, ქვეყანისათვის ქვეყნისთვის გვარი რა მისადებია!? მაგრამ ტო პლატონის მეგობრობა არა კმარა ამხანაგო, თუ რომ იმავე დროს სიმართლე და გულწრფელობა არ არის თქვენი მეგობარი და ამისათვის ნუ გაგიკვირდებათ, თუ რომ ქალებმა თქვენი რჩევით ქალთა დამოუკიდებელ ორგანიზაციების მოწყობას თავი არ დაანებონ, მაგრამ ამაზე შემდეგ.

კატო მიქელაძე.

(შემდეგი იქნება)

# იაპონიის იმპერიალიზმი

2.

როგორია იაპონიის იმპერიალიზმის მისწრაფება დღეს?

იაპონია ცდილობს, რომ მას მიეცეს საგარეო უფლებები ციმბირში ჩინეთში და სხვა მხარეებში, რომელიც აღმოსავლეთის ბაზრებს წარმოადგენენ. იაპონია იმის პრეტენზიასაც კი აცხადებს, რომ რუსეთი უნდა გაიყოს იაპონიამ და ამერიკამ. პირველი უნდა იქნეს ციმბირის მფლობელი, ხოლო მეორე ევროპის რუსეთის. ეს აზრი გატარებულია გაზეთ „ტოკიო კოკუნი შიმბუნში" 1919 წ. 11 თებერვლის ნომერში.

იაპონია დაინტერესებულია ჩინეთის დამოუკიდებლობის მოსპობაში, მარშალისა და კაროლინის კუნძულების „შენარჩუნებაში (რომელიც ომის დროს დაიკავა) ასეთია ის ტენდენცია, საითკენაც მიდის იაპონიის იმპერიალისტური გაქანება.

მაგრამ აღმოსავლეთში იაპონიის ინტერესებს ამერიკის ინტერესები ეწინააღმდეგება. ამერიკამ ფილიპის კუნძულები დაიკავა, რომელიც საშუალებას აძლევს ჩინეთისაკენ სვლისათვის. ამერიკამ ისეთი ძლიერი ფლოტი შექმნა, რომ იაპონიის ფლოტს გაცილებით გადააჭარბა და პანამის არხით გავიდა წყნარ ოკეანეში, საიდანაც მას ადვილად შეუძლია, როგორც ფაბრიკატის, ისე ჯარის გადაყვანაც, თუ საჭიროებამ მოითხოვა, აქ იგი იაპონიის ინტერესებს დიამეტრალურად ეწინააღმდეგება.

ორივე ქვეყანა, დარჩენილი მსოფლიო ომის გარეშე, გაძლიერებული ეკონომიურად, ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში ემზადებიან ერთმანეთის საწინააღმდეგოდ და იარაღის ქედარუნი გაისმის.

იაპონიის სამხედრო მინისტრი 25 დივიზიის ხარჯების ნაცვლად, ჯერ კიდევ 1919 წ. თხოულობდა 25 კორპუსისათვის კრედიტს. ამერიკა თავისი მხრივ კიდევ უფრო გიგანტურად აწარმოებს სამხედრო ძალის გაძლიერების საქმეს.

იაპონიის შინაური ცხოვრება მეტად გართულებულია და ამ მხრივ ცხადია ამერიკის რესურსებთან მისი შედარება შეუძლებელია.

ჩვენ დაწვრილებით არ შევეხებით იაპონიის საშინაო პოლიტიკას და მუშათა მოძრაობას იაპონიაში, ვიტყვით მხოლოდ, რომ მუშათა მდგომარეობა აუტანელია, აქ მუშას ზურგზე აზის ადამიანი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით (მუშა ეტლშია გაბმული) წარმოებაში ჩაბმულია ქალი და ბავშვის რომლისთვის მეტად ანტიჰიგიენური პირობებია შექმნილი. მუშათა ხელფასი მინიმალურია, რომელიც საარსებო მოთხოვნილებათათვის არ არის საკმაო. სამუშაო დღე 12—14 საათია და ზოგ დ რგებში 15—17 საათი. პროფ. მორიმოტის გამოკვლევით ოჯახის შესანახად წლიურად საჭიროა მინიმუმი 2,000 იენი, ხოლო მცხოვრებთა 2 პროცენტი ღებულობს 2000 იენამდე, დანარჩენი 98 პროცენტი კი შიმშილს განიცდის.

1919 წ. დაიწყო აჯანყება ბრინჯის სიძვირის ნიადაგზე. 30,000 კაცი გამოვიდა ქუჩაში და ქვეყანა დაუშინა მდიდართა სახლებს და ბრინჯის საწყობებს რამდენიმე საწყობი დაანგრიეს და დასწვეს. ზარალი 11 მან. მილ. იენს უდრის 11—24 აგვისტომდე მოხდა სულ 234 გამოსვლა, მაგრამ მოძრაობის ლიკვიდაცია მოახდინეს.

მუშათა მდგომარეობამ სერიოზული ყურადღება მიიქცია. მთავრობამ „საჭიროდ დაინახა განსაკუთრებული „ზომების გამონახვა ხალხის დასაკმაყოფილებლად და 1919 წლის 5 იანვარს შესდგა სხდომა შინაგან საქ. მინისტრის კრიტიკურანისა, ქვედა და ზედა პალატის წარმომადგენლებთან ტოკუკოვთან და ოკოკისთან ერთად, რომელზედაც გაითვალისწინეს მუშათა მოძრაობა და მიიღეს მხედველობაში, რომ „ფართო წრეებში არის ოპოზიციური განწყობილება" დაადგინეს, მთავრობამ არ მიმართოს რეპრესიულ ზომებს ხოლო „რამდენათაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს პროფესიონალ ორგანიზაციების ზრდას".

მთავრობა სოციალისტებს სდევნის და ატუსაღებს ისეთ გამოჩენილ სოციალისტებს, როგორიც არის ტოსიკო საკაი. მაგრამ მიუხედავად რეპრესიებისა ხდება სოციალისტურ პარტიათა შეერთება, რომლებიც ესალმებიან რუსეთის რევოლიუციას და რწმენას გამოსთქვამენ, რომ „რევოლიუციის წითელი დროშა იაპონიის თავზედაც აფრიალდება".

მაგრამ როგორია დღეს იაპონიის მდგომარეობა?

იაპონია იძულებული გახდა ვაშინგტონის კონფერენციაზე პირისპირ შეხვდეს ამერიკას და მოხდეს იმ მტკივნეულ ადგილების შეხება, რომელსაც მეტად უფრთხილდება იაპონია. იაპონია თავის წარმომადგენლად მარშალ იამაგატოს ნიშნავს და თვით ეს ფაქტი მოწმობს, რომ იგი დიდ მნიშვნელობას აძლევს კონფერენციას. იაპონიამ კარგად იცის, რომ ახლოვდება საბედისწერო ჟამი და იქეთ აქეთ ეყურება მოკავშირეთა საძებრად, მაგრამ ძლიერი ამერიკის წინააღმდეგ დღეს მხოლოდ თავზე-ხელ აღებული ქვეყანა გაბედავს გამოსვლას. ჩინეთთან მას აღარა აქვს სამეგობრო ურთიერთობა. ასე, რომ იაპონია და ამერიკა პირისპირ ერთმანეთს შეხვდება ვაშინგტონში, და ვეჭვობთ, რომ მშვიდ ბინაზე დამთავრდეს მათი რაინდეუ.

იაპონიის იმპერიალისტები ვერავითარ შემთხვევაში, ვერ დათანხმდება აღმოსავლეთში ხელი აიღოს ბატონობაზე, მაგრამ ამერიკაც არ დასთმობს ამ „გემრიელ ლუკმას". თუ ერთი მხრით იაპონია სამხედრო ფლოტზედ ზრუნავს და სამხედრო ძლიერებას დიდ ყურადღებას აძლევს, მეორე მხრით ამერიკა ჯერ არ ნახულ იარაღებს აზადებს, რომელსაც საჭიროების დროს გაისვრის „ვინმესათვის" საბედისწერო ყუმბარას.

შესძლებს თუ არა ვაშინგტონის კონფერენცია ახალი გზების გამონახვას? უნდა ვიფიქროთ, რომ მიუხედავად ვაშინგტონის კონფერენციის პროგრამისა რომელიც განიარაღებას აქცევს ვითომც უმთავრეს ყურადღებას, არსებითად ახალი შეიარაღება იწყება. როგორც შორეულ ამერიკისა და იაპონიის, ისე ევროპისა ევროპის მიერ ავანტიურაში ჩათრეულ პატარა სახელმწიფოები, რომელიც ბრიანის ინტრიგებით სულდგმულობს ახალ ომისათვის ემზადება, რომლის სიმბოლოა პოლონეთის ულტიმატუმი.

ყოვლად შეუფერებელი და არსებულ პირობებთან შეუხამებელი მოსაზრება იქნება იმაზედ ფიქრი, რომ ვაშინგტონის კონფერენცია შესძლებს იმ წინააღმდეგობათა გადალახვას, რაც ქმნის მსოფლიო ძალთა უთანხმოებას, ანტაგონიზმს.

კაპიტალისტური წარმოების გაფართოებასთან ერთად, როდესაც ფინანსიური კაპიტალის გზები ინტერნაციონალური გზით გაიშალა და კოლონიების მოპოვებისათვის სისხლისა და ცრემლის ოკეანე დააყენა, იწყება ფანტასტიური ზრდა სამხედრო ძალისა, იარაღთა გაუმჯობესებისა, § სამხ. ფლოტის განვითარებისა და დიდი და პატარა ქვეყნების ბიუჯეტის მილიტარიზაციისა, რაიც ფატალურად მიაქანებს მსოფლიოს ახალ-ახალი ომებისაკენ, რომელნიც ანადგურებს საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ სიმდიდრეს და, რაც უმთავრესია, იწირავს ადამიანთა სიცოცხლეს მილიონობით.

თუ 1914 წ. არსებობდა ომის მიზეზები, დღეს ათასჯერ უფრო მეტი შანსებია ომის გაჩაღებისა, რომელმაც უნდა დაასრულოს დღევანდელი „მშვიდობიანობა". ამ ომის მახარობელი ბრიანის ინტრიგებია. საფრანგეთი ცდილობს ევროპის ბურჟუაზიის პიონერობას, ეს საფრანგეთია დამშეულებს რომ ეგრე „გულ უხვად" უმასპინძლდება, დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარედ ცნობილ რეაქციონერს ნულანს ნიშნავს და ყოველ დღიურად მილიონების საფასო ყუმბარებს და ზარბაზნებს გზავნის რუსეთისაკენ პურისა და სურსათის ნაცვლად. მაგრამ ევროპის ტრაგი-კომედია ბრიანითა და საფრანგეთ-პოლონეთით არ იწურება. რომ საფრანგეთის ყოყოჩობამ რაიმე რეალი შედეგი გამოიღოს, მას შანსები მიეცეს მსოფლიო ბატონობისა, როგორი იქნება მაშინ ერთი მხრით ინგლისისა და მეორე მხრით ამერიკის ურთიერთობა საფრანგეთთან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ პოლონეთ-რუსეთს შორის ამ ახალო მომავალში მოხდა კონფლიქტი, ამაში „მონაწილეობას მიიღებს უფრო სხვა ძალები, რომელთა ფიზიონომია დღეს ისე აშკარად არ არის სინათლეზედ გამოტანილი.

ამერიკა რუსეთს ხელს შეუწყობს და კიდეც უხვ დახმარებას აწვდის, რადგან რუსეთი ინგლისის ბატონობას ეწინააღმდეგება. ეს ამერიკა საფრანგეთსაც დაუწყებს არშიყობას მანამ, სანამ ინგლისს დაასუსტებს, ხოლო თუ მან, ინგლისის ბატონობა დასცა, მაშინ თვით დასუსტებულ ინგლისსაც კი დაუმეგობრდება, რომ საფრანგეთის წინააღმდეგ აწარმოოს ისეთივე პოლიტიკა, როგორსაც დღეს ინგლისის წინააღმდეგ აწარმოებს.

ამ საერთო ორომტრიალში იაპონიის მდგომარეობა განსაკუთრებულია. შორეულ აღმოსავლეთისაკენ მიისწრაფის, როგორც ამერიკის ისე ანტანტის და აგრეთვე რუსეთის პოლიტიკაც. მაგრამ ამერიკა ანტანტისა და რუსეთის ძლიერებას თავისი ირიბოვანი და ტკბილი პოლიტიკით აკუსტებს და იაპონიის ბატონობას აღმოსავლეთში ძირს უთხრის.

როგორიც არ უნდა იყოს საერთაშორისო მდგომარეობის ცვალებადობა, ბოლოსა და ბოლოს ევროპის ქვეყნების ინტერესთა წინააღმდეგობა, ამერიკისა და იაპონიის დაპირისპირება აღმოსავლეთში ბატონობისათვის, შექმნის ნიადაგს ახალი მსოფლიო ომისათვის და შეიძლება უფრო მეტი უბედურება გადახდეს კაცობრიობას, ვიდრე მან განიცადა 1914 წ.—1918 მდე. ასეთია დღეს ძალთა განწყობილება საერთაშორისო პოლიტიკაში და ახალი ომი, თუ მას არ დაასწრო რევოლიუციამ, თავის დასასრულში მაინც რევოლიუციით გათავდება და მაშინ კერძოდ იაპონიის წინააღმდეგ თავს იჩენს დამონებული კორეიის, რიუ-კიუს, ფორმოზის, მარშალის, კაროლინის, ჩინეთის და სხვათა ინტერესები, რომელიც დაამხობს იაპონიის იმპერიალიზმს, ხოლო საერთოდ იმპერიალიზმის წინააღმდეგ აღზდგება დამონებული ერები და მშრომელი მასსა, რომელიც კაპიტალიზმის ნანგრევებზე დაასობს წითელ დროშას, როგორც ემბლემას ერთა და მშრომელთა განთავისუფლებისას.

სერ. ამაღლობელი.

# მწუხარე პეისაჟი

დავტოვე ეზო მე ვაზიანათ
და ვერაფერი ოჯახს შევმატე.
ამას ყოველთვის თავაზიანათ
მისაყვედურებს მოხუცი ძათე.

ო, ეს სახელი საყვარელ მამის
მიფარავს მუდამ, ვით ავგაროზი.
მისი თვალები სავსეა ნამით,
როგორც სევდებით ზამთრის ტაროსი.

ნეტავი ქვეყნად ისე ვივლიდე,
რომ ნუგეში ვცე მოხუცებს მაინც.
ვიცი: მწუხარე დედა ივლიტე
მახსენებს, როცა მორეცხავს საინს.

ჩემი ერთი ძმა, მორცხვი ნიკოლოზ—
კეთილ მშობლების დარდის დამწველი—
ვინმემ სიცოცხლე რომ ჩამიქოლოს,
იქნება ჩემი ბედის დამცველი.

შევწირე ყველა მე პოეტობას:
ხან ბაბილინაც არ მინდა მყავდეს.
ჩემს გვარში ეხლა ვჩემობ მეტობას,—
ალბად დამწყევლეს: რომ ნერონს ვგავდე.

დაკარგულ დებზე ცრემლი მდის მარად -
დამიჭკნა მათთვის ვარდი ნაპარი.
და, მეჩვენება გატეხილ ფარად,
ჩემი ცხოვრების მოკლე ზღაპარი.

რაჟდენ გვეტაძე.

13 აგვისტო 1921.

პარტიულ ორგანიზაციების საყურადღებოდ

ოქტომბრის 30 [illegible] დანიშნულ პარტიულ ყრილობაზე [illegible] პარტიამ [illegible] რეგები [illegible] რები. ყველა ორგანიზაციებმა დაჩქარებით უნდა გვაცნობოს სად რამდენი ლიტერი გავუგზავნოთ ტფილისში ჩამოსასვლელად. უკან გაბრუნებისას დელეგატები აქ მიიღებენ ლიტერებს. დელეგატები უზრუნველყოფილი იქნებიან აგრეთვე ბინით და პურით.

საორგანიზ. სამეული.

# ვინ უნდა მოგვცეს პასუხი?

ქ. ტფილისში, რეალურ სასწავლებლის შენობაში არსებობდა საღამოს კურსები, რომელსაც მსმენელები „ნუცუბიძის კურსებს" უწოდებდნენ.

ამ კურსების გარშემო თავს იყრიდნენ რესპუბლიკის ყველა კუთხიდან და თვით ტფილისში მყოფნი ახალ-გაზრდა მუშა მოსამსახურენი.

უნდა ითქვას, რომ ეს კურსები დიდად საჭირო და სასარგებლო იყო, მაგრამ დღეს სრულიად გამოურკვეველია მისი მდგომარეობა. რესპუბლიკის ყველა კუთხეებიდან ჩამოსულნი და ქალაქის მცხოვრებნი ცის მანანასავით შევყურებდით ამ სამასწავლო წელსაც კურსების გახსნას მაგრამ... სამწუხაროდ წუწუნი გვესმის მსმენელების მხრივ იმის შესახებ, რომ კურსების მდგომარეობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველიაო და სხვა.

ბევრი ამბობს, რომ კურსები სრულებით დაიხურაო, ზოგნი კიდევ იმას, რომ თითქოს სახელმწიფო იღებს თავის ხელში ამ კურსების ხელმძღვანელობას და ამიერიდან სახელმწიფო ხარჯზე იქმნებაო, მაგრამ დღემდის კი, ყველაფერი ეს ჩვენთვის გამოურკვეველია. ვთხოვთ ვისაც ჯერ-არს ამ კითხვაზე ერთი გადაჭრითი პასუხი მოგვცენ და გვაგებინონ რაშია საქმე?

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ კურსები ჩვეულებრივად იარსებებს, რადგან ამ კურსებზე ბევრი სწავლა მეცნიერებას დაწაფებული ქართველი მოწინავე მუშების იმედია დაყრდნობილი და მთავრობა, რომელიც უდიდეს ყურადღებას აქცევს მუშათა შორის სწავლა აღზრდის საქმეს, იმედია შესაფერის გულმტკივნეულობას გამოიჩენს და ეცდება, რომ აღდგენილ იქნას ხსენებულ კურსებზე მეცადინეობის გაგრძელება.

მუშა მსმენელი.

P. S. ვთხოვ გაზ. „კომუნისტს" გადაბეჭდოს ეს წერილი.

# ახალი ამბები

— მოსკოვიდან ჩამოსული მსახიობი მოსკოვის საოპერო თეატრისა შარაშიძე ახლო მომავალშიდ მონაწილეობას მიიღებს ოპერა ფაუსტშიდ შეასრულებს მეფისტოფელის როლს.

— სახალხო განათლების კომისარიატს ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავისათვის აწყობს სამხატვრო გამოფენას, გამოფენის მონაწილეობაში მისაღებად ვალდებულნი არიან ყველა მხატვრები, საუკეთესო სურათები, ქანდაკებანი შეძენილი იქნება სახ. გან. კომისარიატის მიერ სამხატვრო მუზეუმის დასაარსებლად. ცნობების მსლება შეიძლება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე გამოფენის სეკრეტართან ზდანევიჩთან. განათლების მთავარ საბჭოში.

# ჩვენი ფოსტა

ზუგდიდში, სამეულს. თქვენი დეპეშა მივიღეთ და ზომებიც მიღებულია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

**დაეკარგა** პირადობის ბარათი ლევან ვართანოვის ძე სტეფანიანცის სახელზე. გთხოვთ ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაეკარგა** მატრიკული (№ 979) პოლიტეხნიკური ინსტიტუტისაგან მოცემული ნიკოლოზ ავეტიქოვის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს.

# საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

ა. წ. ოქტომბრის 30 ს.

განსახილველი საკითხები:

1. დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ჭანიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. ღლონტი.
5. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
6. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
7. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხ. ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
8. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ. სერგო ამაღლობელი.
9. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.
10. მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე-23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობა გაიხსნება პარტიის ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1) საღამოს სრულ 7 საათზე.